

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერი

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
დასკვნის ბოლო გვერდი	38

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“-ის მფლობელებისა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ „კომპანიისგან“, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით
გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თბილისი
19 აგვისტო 2025 წ.



შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023 (გადაანგარიშებული)	31.12.2022 (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	15,064,719	13,898,866	86,141
არამატერიალური აქტივები		78,497	-	-
აქტივი გამოყენების უფლებით	7	1,606,687	2,171,574	2,734,917
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,749,903	16,070,440	2,821,058
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	4,622,419	11,013,459	-
ავანსები	9	278,644	378,678	317,245
მარაგები	10	478,895	77,510	-
საგადასახადო აქტივი		83,604	2,657,592	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	2,323,203	2,091,816	42,784
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,786,765	16,219,055	360,029
სულ აქტივები		24,536,668	32,289,494	3,181,087
კაპიტალი				
დაგროვილი ზარალი		(2,243,022)	(2,494,493)	(1,926,425)
სულ კაპიტალი		(2,243,022)	(2,494,493)	(1,926,425)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ანარიცხები	12	296,403	-	-
საიჯარო ვალდებულება	13	1,378,659	1,911,741	2,440,704
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,675,062	1,911,741	2,440,704
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	7,317,989	5,013,689	1,542,923
მიღებული სესხები	15	17,170,104	27,340,975	705,936
საიჯარო ვალდებულება	13	616,535	517,582	390,724
საგადასახადო ვალდებულება		-	-	27,226
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		25,104,628	32,872,246	2,666,808
სულ ვალდებულებები		26,779,690	34,783,987	5,107,513
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,536,668	32,289,494	3,181,087

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 19 აგვისტოს:

დირექტორი: ანდრეს რენგიფო

Andres Rengifo

Andres Rengifo (Aug 22, 2025 13:16:25 GMT+2)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-38 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	16	22,762,543	11,000,775
სულ შემოსავალი		22,762,543	11,000,775
შრომის ანაზღაურების ხარჯი		(13,531,094)	(5,647,842)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(3,411,260)	(2,051,146)
უძრავი ქონების მოვლის ხარჯი	17	(1,719,708)	(1,221,785)
ინფორმაციული ტექნოლოგიების ხარჯი	18	(1,896,425)	(741,626)
მარკეტინგის ხარჯი	19	(673,707)	(292,624)
სხვა საოპერაციო ხარჯი	20	(277,364)	(423,763)
მომსახურების ხარჯი	21	(393,878)	(343,918)
ფინანსური ხარჯი	22	(293,797)	(343,203)
ანარიცხები	12	(296,403)	-
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან		(96,864)	(2,027,473)
ფინანსური შემოსავალი		11,353	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		68,075	1,524,537
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		251,471	(568,068)
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		251,471	(568,068)
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		251,471	(568,068)

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 19 აგვისტოს

დირექტორი: ანდრეს რენგიფო

Andres Rengifo

Andres Rengifo (Aug 22, 2025 13:16:25 GMT+2)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-38 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(1,926,425)	(1,926,425)
წლის ზარალი	-	(568,068)	(568,068)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(568,068)	(568,068)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(2,494,493)	(2,494,493)
წლის მოგება	-	251,471	251,471
მთლიანი სრული შემოსავალი	-	251,471	251,471
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(2,243,022)	(2,243,022)

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 19 აგვისტოს

დირექტორი: ანდრეს რენგიფო

Andres Rengifo

Andres Rengifo (Aug 22, 2025 13:16:25 GMT+2)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-38 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2024	2023 (გადაანგარიშებული)
წლის მოგება/(ზარალი)	251,471	(568,068)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	3,411,260	2,051,146
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(96,864)	(2,027,473)
ფინანსური ხარჯები	293,797	343,203
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,859,664	(201,191)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	5,946,439	(10,568,858)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	2,260,927	2,963,101
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	2,541,273	(2,641,042)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	32,715	(43,775)
ცვლილებები სახელფასო ვალდებულებებში	784,376	492,974
ცვლილებები მარაგებში	(401,386)	(77,510)
ცვლილებები ანარიცხებში	296,403	-
ცვლილებები წინასწარ გადახდილ ხარჯებში	100,034	(61,433)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	11,264,378	(9,936,544)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	15,124,042	(10,137,735)
ფულადი ნაკადების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
გადახდები ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის	(4,012,226)	(15,295,804)
არამატერიალური აქტივის შესყიდვა	(78,497)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,090,723)	(15,295,804)
ფულადი ნაკადების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
ნასესხები თანხების მიღება	20,456,727	28,246,970
ნასესხები თანხების დაბრუნება	(30,618,621)	-
ცვლილებები საიჯარო ვალდებულებებში	(640,038)	(764,399)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(10,801,932)	27,482,571
ფულადი სახსრების გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგი		
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	231,387	2,049,032
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	2,091,816	42,784
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	2,323,203	2,091,816

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 19 აგვისტოს:

დირექტორი: ანდრეს რენგიფო

Andres Rengifo

Andres Rengifo (Aug 22, 2025 13:16:25 GMT+2)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-38 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“ (ს/ნ 436051460) (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2022 წლის 24 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზირი, N84. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი მფლობელია: MT RealTime Live Holdings Ltd” C 100500 /Malta/.

კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია ანდრეს რენგიფო (MT8821506).

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“ ფლობს „ლატარიების, აზარტული და სხვა საპრიზო თამაშების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აზარტული და/ან მომგებიანი თამაშების მიმწოდებლის ლიცენზიას. ლიცენზიის ფარგლებში, კომპანია უზრუნველყოფს ლაივ კაზინოს ტრანსლაციას და სათამაშო სტუდიის მართვის მომსახურებას. კომპანია აწყოფს ლაივ კაზინოს თამაშებს, კერძოდ:

1. რულეტკა
2. სპიდ ბლექჯეკი
3. ბლექჯეკი
4. ბაკარა
5. სხვა ონლაინ თამაშები

საქართველოში მდებარე „ჯი რიალთაიმ ლაივ“-ის ახლადშექმნილი ლაივ კაზინოს სტუდია აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებით, რომლებიც შექმნილია მომხმარებლებისთვის სათამაშო გამოცდილების მიწოდებისთვის სპიდ ბლექჯეკის, ბლექჯეკის და რულეტკისთვის განკუთვნილი მაგიდებით. სტუდია გათვალისწინებულია მრავალფეროვან არჩევანს, რომელიც გამოირჩევა არსებული სტრუქტურისა და თამაშის ხარისხით.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის სხვადასხვა დეპარტამენტში საშუალოდ 498 ადამიანი იყო დასაქმებული.

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

ფინანსური ანგარიშგება შედგება მოგება-ზარალის ანგარიშგებისგან, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და განმარტებითი შენიშვნებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარებელ ინფორმაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2.2. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდით და ისტორიული ღირებულების შესაბამისად, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც აღირიცხება მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით.

2.3. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2.4 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ქართული ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.5 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. ეს შეფასებები ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და თავდაპირველი შეფასებები და ვარაუდები შეიცვლება საჭიროებისამებრ იმ წელს, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

3. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადასინჯული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2024 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ მიუღია სხვა არცერთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან შესწორება, რომლებიც გამოცემულია მაგრამ არ არის ეფექტური რეპორტირგ პერიოდისთვის.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 16 იჯარაში – საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში - შესწორებებს არანაირი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებში - ურთიერთგაცვლის შეზღუდული არსებობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753
1 გირვანქა სტერლინგი/ლარი	3.5349	3.4228

ამონაგების აღიარება

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანია შემოსავალს იღებს ლაივ კაზინოს ტრანსლირებისა და სათამაშო სტუდიის მართვის მომსახურებიდან, რომელიც მიეწოდება კომპანია MT Realtime Live Ltd-ს.

იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას იჯარით აღებული აქვს კომერციული დანიშნულების უძრავი ქონება. საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებულია 4 წლის ვადით. კომპანია არ დებს გაყიდვისა და უკულიზინგის ხელშეკრულებებს. ყველა იჯარის ხელშეკრულება ინდივიდუალურად განიხილება და მოიცავს განსხვავებულ პირობებს.

კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს მშენებლობის ღირებულებას ან შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახადებს და დაუბრუნებელ გადასახადებს, ასევე ნებისმიერ პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯს, რომელიც აქტივს დანიშნულებისამებრ სამუშაო მდგომარეობაში მოჰყავს. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება და შეღავათები აკლდება მშენებლობის ღირებულების ან შესყიდვის ფასის გამოთვლისას. მცირე რემონტისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისთანავე. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოღებულია.

თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. გაუფასურების შემთხვევაში, შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა ჩამოიწერება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესით.

საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგებაში ან ზარალში. აქტივის გაუფასურების ზარალი წინა წლებში აღდება, თუ ცვლილება მოხდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის ხარჯების გამოკლებით სამართლიანი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებში.

მიწის და მშენებარე აქტივებს ცვეთა არ ირიცხება. ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მათი ღირებულება განაწილდეს მათი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში ან მათ ნარჩენ ღირებულებაზე შემდეგნაირად:

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერული ტექნიკა	3-5
ოფისის აღჭურვილობა	5-7
იჯარით აღებული ქონება	10
მანქანა დანადგარები	5-10
სხვა	3-5

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების შემენის ხარჯები მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახადებს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომელთა ამოღებაც შემდგომში ჯგუფის მიერ საგადასახადო ორგანოებისგან შეიძლება), ასევე ტრანსპორტირების, დამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მზა პროდუქციის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლებები, ფასდაკლებები და სხვა მსგავსი პუნქტები გამოქვითულია შემენის ხარჯების განსაზღვრისას. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. მარაგები ჩამოიწერება ფიფო მეთოდით.

ანარიცხები

ანარიცხები აღირიცხება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის შედეგად აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული), სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოუწევს ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის შეფასება. ანარიცხად აღიარებული თანხა წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას ანგარიშგების თარიღისთვის, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი იზომება მიმდინარე ვალდებულების

დასაფარად შეფასებული ფულადი ნაკადების გამოყენებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL) .

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალურია. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება ბასს 39-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL)“. ახალ განსაღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზირებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემიტირებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ზარალის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ზარალის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

5.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

6. ძირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	კომპიუტ. ტექნიკა	ოფისის აღჭურ- ვილობა	ოჯარით აღებ. ქონების კეთილმოწყ.	მანქანა- დანადგარები	სხვა	სულ
01.01.2023-თვის	71,932	16,639	-	-	-	88,571
შეძენა	1,476,218	796,767	11,959,444	9,253,553	639,270	24,125,252
ჩამოწერა	-	-	(39,194)	(8,785,530)	-	(8,824,724)
31.12.2023-თვის	1,548,151	813,406	11,920,250	468,023	639,270	15,389,098
შეძენა	876,737	72,439	1,019,292	1,045	2,447,989	4,417,502
ჩამოწერა	(151,723)	-	(124,808)	-	(143,063)	(419,594)
31.12.2024-თვის	2,273,164	885,844	12,814,734	469,067	2,944,196	19,387,007
ცვეთა და ამორტიზაცია						
01.01.2023-თვის	(1,747)	(682)	-	-	-	(2,429)
წლის ცვეთის დარიცხვა	(343,102)	(89,378)	(804,171)	(121,484)	(129,668)	(1,487,803)
ცვეთის ელიმინაცია	-	-	-	-	-	-
31.12.2023-თვის	(344,849)	(90,061)	(804,171)	(121,484)	(129,668)	(1,490,232)
წლის ცვეთის დარიცხვა	(683,794)	(198,770)	(1,275,758)	(155,303)	(518,981)	(2,832,605)
ცვეთის ელიმინაცია	453	-	96	-	-	550
31.12.2024-თვის	(1,028,189)	(288,831)	(2,079,833)	(276,787)	(648,648)	(4,322,288)
01.01.2023-თვის	70,185	15,956	-	-	-	86,141
31.12.2023-თვის	1,203,302	723,345	11,116,079	346,539	509,602	13,898,866
31.12.2024-თვის	1,244,975	597,014	10,734,901	192,281	2,295,548	15,064,719

მთლიანი ცვეთის ხარჯი ასახულია პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

7. აქტივი გამოყენების უფლებით

ისტორიული ღირებულება	აქტივი გამოყენების უფლებით	სულ
01/01/2023-სთვის	2,818,261	2,818,261
შეძენა	-	-
გასვლა	-	-
31/12/2023-სთვის	2,818,261	2,818,261
შეძენა	-	-
გასვლა	-	-
31/12/2024-სთვის	2,818,261	2,818,261
დაგროვილი ცვეთა		
01/01/2023-სთვის	(83,344)	(83,344)
წლის ცვეთა	(563,344)	(563,344)
გასვლა	-	-
31/12/2023-სთვის	(646,687)	(646,687)
წლის ცვეთა	(564,887)	(564,887)
გასვლა	-	-
31/12/2024-სთვის	(1,211,574)	(1,211,574)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
01/01/2023-სთვის	2,734,917	2,734,917
31/12/2023-სთვის	2,171,574	2,171,574
31/12/2024-სთვის	1,606,687	1,606,687

მთლიანი ცვეთის ხარჯი ასახულია პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2024	31/12/2023
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	4,555,114	11,013,459
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	67,305	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,622,419	11,013,459

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“-ის სავაჭრო დებიტორული დავალიანების ძირითადი ნაწილი მოიცავს „Realtime Services“ LTD-სთან არსებულ დებიტორულ დავალიანებებს, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,555,114 ლარს.

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

- სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან.
- სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.
- მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო აქტივი სრულად ამოსაღებია.

სავაჭრო მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 24-ში.

9. ავანსები

	31/12/2024	31/12/2023
ავანსები	50,840	155,472
დროებითი გადახდები	-	2,238
წინასწარ გადახდილი ხარჯები საწვავზე	1,702	-
გრძელვადიანი ავანსები	135,100	135,100
არამორტიზებული ხარჯები	91,002	85,868
სულ ავანსები	278,644	378,678

10. მარაგები

	31/12/2024	31/12/2023
სათამაშო ბარათები და აღჭურვილობა	276,688	-
უნიფორმები	194,868	77,510
სხვა მარაგები	7,339	-
სულ მარაგები	478,895	77,510

საქონლის მოძრაობა აღირიცხება ფიფო მეთოდის გამოყენებით.

11. ფული და ფული ეკვივალენტები

	31/12/2024	31/12/2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენ ბანკში	782,757	15,831
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,540,446	2,075,985
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,323,203	2,091,816

ფული და ფული ეკვივალენტები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 24-ში

12. იურიდიული ხარჯების ანარიცხები

კომპანია 2024 წლის განმავლობაში ორ ყოფილ თანამშრომელთან შრომით დავაში იყო ჩართული. კომპანიამ ამ პერსონალთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა. შესაბამისად, ყოფილმა თანამშრომლებმა სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, რომლითაც მოითხოვეს სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების გაუქმება და კომპენსაციის გადახდა. სასამართლო ხარჯების ჯამური ოდენობა 296,403 ლარს შეადგენს.

13. საიჯარო ვალდებულება

	31/12/2024	31/12/2023
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები		
საიჯარო გადახდები	842,040	806,820
ფინანსური ხარჯები	(225,505)	(289,238)
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	616,535	517,582
2-5 წლის ჩათვლით		
საიჯარო გადახდები	1,560,113	2,301,678
ფინანსური ხარჯები	(181,454)	(389,937)
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	1,378,659	1,911,741
5 წლიდან		
საიჯარო გადახდები	-	-
ფინანსური ხარჯები	-	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	1,995,194	2,429,323

კომპანიას იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი. აღნიშნული იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორცაა საიჯარო გადასახადელები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობს სალიზინგო ვალდებულებების და შესაბამისი აქტივების საწყის აღიარებაში. აქტივების გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია განცალკევებულად (შენიშვნა 7).

კომპანიამ გადაწყვიტა, არ აღიაროს იჯარის ვალდებულება მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა 12 თვის ან ნაკლები ვადით) და დაბალი ღირებულების იჯარით აღებული აქტივების იჯარისთვის. ასეთი იჯარის გადახდები აღირიცხება ხარჯებად წრფივი მეთოდით.

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31/12/2024	31/12/2023
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	5,501,470	3,734,753
მიღებული ავანსები	-	444,601
გადასახდელი ხელფასები	938,385	521,721
გადასახდელი ბონუსები	367,712	-
სხვა ვალდებულებები	510,422	312,614
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,317,989	5,013,689

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 24-ში

15. სესხები

	31/12/2024	31/12/2023
სესხი - MT RealTime Live Ltd	17,170,104	18,388,279
სესხი - RealTime SIA	-	8,952,696
სულ მოკლევადიანი სესხები	17,170,104	27,340,975

კომპანიას 2023 წელს ორი სესხი ჰქონდა აღებული MT RealTime Live Ltd-სა და RealTime SIA-სგან. 2024 წლის განმავლობაში აღნიშნული სესხები გაერთიანდა და გადაეცა MT RealTime Live Ltd-ს.

სესხები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 24-ში

16. შემოსავლები

	31/12/2024	31/12/2023
ტრანსლირებიდან და სტუდიის მართვიდან მოღებული შემოსავლები	22,762,543	11,000,775
სულ შემოსავლები	22,762,543	11,000,775

კომპანია შემოსავალს იღებს ლაივ კაზინოს ტრანსლირებისა და სათამაშო სტუდიის მართვის მომსახურებიდან, რომელიც მიეწოდება კომპანია MT Realtime Live Ltd-ს.

კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში.

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

17. უძრავი ქონების მოვლის ხარჯი

	2024	2023
კომუნალური ხარჯები	377,798	256,828
საოფისე საქონელი	652,995	159,854
ოფისის მომსახურება	490,972	648,962
უსაფრთხოების ხარჯები	148,694	88,588
სხვა ხარჯები	49,249	67,553
სულ უძრავი ქონების მოვლის ხარჯი	1,719,708	1,221,785

18. ინფორმაციული ტექნოლოგიების ხარჯები

	2024	2023
მომსახურების ხარჯები	989,437	397,105
IT ნაწილების ხარჯები	789,768	-
აღჭურვილობის ხარჯები	19,178	49,799
სხვა პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	98,042	294,722
სულ ინფორმაციული ტექნოლოგიების ხარჯები:	1,896,425	741,626

19. მარკეტინგის ხარჯი

	2024	2023
რეკლამის ხარჯები	271,609	-
სპონსორობის ხარჯები	5,000	-
თამაშის სერტიფიკატი	-	229,643
ლიცენზიის საფასური	395,194	62,781
სხვა მარკეტინგული ხარჯები	1,904	200
სულ მარკეტინგის ხარჯი	673,707	292,624

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

20. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2024	2023
აუდიტის ხარჯები	24,301	23,514
ბუღალტრული აღრიცხვის ხარჯები	159,262	130,016
კონსულტაციის ხარჯები	-	7,208
იურიდიული კონსულტაციის ხარჯები	31,853	14,163
პროფესიული მომსახურების ხარჯები	61,948	105,325
სხვა საგადასახადო ხარჯი	-	94,098
სხვა ხარჯები	-	49,439
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	277,364	423,763

21. მომსახურების ხარჯი

	2024	2023
სათამაშო კარტი	175,531	117,951
პერსონალის უნიფორმები	218,347	225,967
სულ მომსახურების ხარჯი	393,878	343,918

22. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი	293,797	343,203
სულ ფინანსური ხარჯი	293,797	343,203

23. გაუთვალისწინებელი გარემოებები და ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

დაზღვევა

საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებული სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ კიდევ არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს სრული დაფარვა თავისი ობიექტებისთვის, ბიზნესის შეფერხებისთვის ან მესამე მხარის პასუხისმგებლობისთვის, რომელიც დაკავშირებულია ქონებრივ ან გარემოზე მიყენებულ ზიანთან, რომელიც გამოწვეულია კომპანიის ქონებაზე ან კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებით. სანამ კომპანია არ მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

სასამართლო დავა

მენეჯმენტის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავა ან სხვა დაუსრულებელი სარჩელი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის დარიცხული ან გაცხადებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

24. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსური რისკების, ოპერატიული რისკების და იურიდიული რისკების მიმართულებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფას საოპერაციული და იურიდიული რისკების მინიმიზაციის მიზნით.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში

ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში;

ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებებთან მიმართებაში;

გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში,

ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024	USD	EUR	GBP	GEL	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	263	1,539,918	265	782,757	2,323,203
ფული და ფულის ექვივალენტები	-	4,568,992	-	53,427	4,622,419
სულ ფინანსური აქტივები	263	6,108,910	265	836,184	6,945,622
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(5,785,584)	-	(1,532,405)	(7,317,989)
მიღებული სესხები	-	(17,170,104)	-	-	(17,170,104)
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	(22,955,688)	-	(1,532,405)	(24,488,093)
წმინდა პოზიცია	263	(16,846,778)	265	(696,221)	(17,542,471)

2024	USD	EUR	GBP	GEL	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	769	2,075,041	176	15,831	2,091,816
ფული და ფულის ექვივალენტები	-	11,013,459	-	-	11,013,459
სულ ფინანსური აქტივები	769	13,088,500	176	15,831	13,105,275
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(3,732,938)	-	(1,280,751)	(5,013,689)
მიღებული სესხები	-	(27,340,975)	-	-	(27,340,975)
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	(31,073,913)	-	(1,280,751)	(32,354,664)
წმინდა პოზიცია	769	(17,985,413)	176	(1,264,920)	(19,249,389)

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო ან გაუფასურებულიყო უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში 15%-ით მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

მოგება ზარალი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა		ფუნტი სტერლ. გავლენა	
	2024	2023	2024	2023	2024	2023
ლარის გამყარება	39	115	2,527,017	2,697,812	40	26
ლარის დევალვაცია	(39)	(115)	(2,527,017)	(2,697,812)	(40)	(26)

საპროცენტო განაკვეთის რისკი და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს, მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კურსის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

2024	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,323,203	-	-	2,323,203
ავანსები	278,644	-	-	278,644
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,622,419	-	-	4,622,419
სულ ფინანსური აქტივები	7,224,266	-	-	7,224,266
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(7,317,989)	-	-	(7,317,989)
მიღებული სესხები	(17,170,104)	-	-	(17,170,104)
საიჯარო ვალდებულება	(616,535)	(1,378,659)	-	(1,995,194)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(25,104,628)	(1,378,659)	-	(26,483,287)
წმინდა პოზიცია	(17,880,362)	(1,378,659)	-	(19,259,021)
2024				
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,091,816	-	-	2,091,816
ავანსები	378,678	-	-	378,678
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,013,459	-	-	11,013,459
სულ ფინანსური აქტივები	13,483,953	-	-	13,483,953
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(5,013,689)	-	-	(5,013,689)
მიღებული სესხები	(27,340,975)	-	-	(27,340,975)
საიჯარო ვალდებულება	(517,582)	(1,911,741)	-	(2,429,323)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(32,872,246)	(1,911,741)	-	(34,783,987)
წმინდა პოზიცია	(19,388,293)	(1,911,741)	-	(21,300,034)

კომპანია ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვისას ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, განსაკუთრებით მისი ფულადი რესურსებისა და სავაჭრო მოთხოვნების გათვალისწინებით. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება ფულადი გადინების მიმდინარე მოთხოვნებს. ფულადი ნაკადები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ყველა ხელშეკრულებით სრულდება 12 თვის განმავლობაში.

25. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31-Dec-24		31-Dec-23	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,622,419	4,622,419	11,013,459	11,013,459
ავანსები	278,644	278,644	378,678	378,678
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,323,203	2,323,203	2,091,816	2,091,816
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,317,989	7,317,989	5,013,689	5,013,689
მიღებული სესხები	17,170,104	17,170,104	27,340,975	27,340,975

26. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

- f. მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- გ. დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისათვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

2024 და 2023 წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

2024		თანხა ევროში	თანხა ლარში
მოთხოვნები	დაკავშირებული მხარეებისგან	1,554,328	4,555,114
ვალდებულებები	IC Realtime SIA	(1,877,250)	(5,501,470)
მიღებული სესხები	MT Realtime Live	(5,858,899)	(17,170,089)
2023		თანხა ევროში	თანხა ლარში
მოთხოვნები	დაკავშირებული მხარეებისგან	3,701,630	11,013,459
მიღებული სესხები	MT Realtime Live	(5,737,262)	(17,070,076)
მიღებული სესხები	IC Realtime SIA	(2,779,486)	(8,269,804)
ვალდებულებები	IC Realtime SIA	(1,255,253)	(3,734,753)

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში

	2024	2023
ხელმძღვანელ პირებზე გაცემული ანაზღაურება	544,884	183,017
სულ:	544,884	183,017

26. ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ამ აღრიცხვის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია, თუ მენეჯმენტი არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან თუ ამის გაკეთების რეალისტური ალტერნატივა არ გააჩნია.

კომპანიას აქვს მიღებული სესხი. კომპანიამ მიიღო წერილი მშობელი კომპანიისგან, რომელშიც ნათქვამია, რომ მშობელი კომპანია არ მოითხოვს სესხის დაბრუნებას ისე, რომ კომპანიას შეექმნას ოპერაციული პრობლემები. ჯგუფის მენეჯმენტი მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს დამატებითი ინვესტიციები.

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო მოგება და მომავალში ამ მოგების კიდევ უფრო გაზრდას გეგმავს.

27. გადაანგარიშების ეფექტი

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საბალანსო ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

2023	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,568,858	444,601	11,013,459
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,047,368)	(444,601)	(4,491,969)
ავანსები	456,188	(77,510)	378,678
მარაგები	-	77,510	77,510
გრძელვადიანი სესხები	(27,340,975)	27,340,975	-
მოკლევადიანი სესხები	-	(27,340,975)	(27,340,975)
	(20,363,297)	-	(20,363,297)

2022	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
გრძელვადიანი სესხები	(705,936)	705,936	-
მოკლევადიანი სესხები	-	(705,936)	(705,936)
	(705,936)	-	(705,936)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასთან დაკავშირებული რეკლასიფიკაციები:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები			
2023	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ზოგადი და ადმინისტრ. ხარჯები	8,327,640	(8,327,640)	-
ხელფასები და პრემიები	-	5,647,842	5,647,842
უძრავი ქონების მოვლის ხარჯი	-	1,221,785	1,221,785
IT ხარჯები	-	741,626	741,626
მარკეტინგის ხარჯები	-	292,624	292,624
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	423,763	423,763
	8,327,640	-	8,327,640

გაყიდული საქონლის თვითღირებულება			
2023	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(1,180,619)	1,180,619	-
სხვა საოპერ. შემოსავლები/ხარჯები	-	(1,524,537)	(1,524,537)
მომსახურების ხარჯები	-	343,918	343,918
	(1,180,619)	-	(1,180,619)

შპს „ჯი რიალთაიმ ლაივ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

2023	ფინანსური ხარჯი		
	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ფინანსური ხარჯი	2,389,767	(2,046,563)	343,203
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	(19,091)	2,046,563	2,027,473
	2,370,676	-	2,370,676

2022	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		
	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ზოგადი და ადმინისტრ. ხარჯები	280,727	(280,727)	-
ხელფასები და პრემიები		229,185	229,185
უძრავი ქონების მოვლის ხარჯი		40,432	40,432
IT ხარჯები		5,323	5,323
მარკეტინგის ხარჯები		516	516
სხვა საოპერაციო ხარჯები		5,271	5,271
	280,727	-	280,727

2022	გაყიდული საქონლის თვითღირებულება		
	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1,524,537	(1,524,537)	-
მომსახურების ხარჯები	-	1,524,537	1,524,537
	1,524,537	-	1,524,537

2022	ფინანსური ხარჯი		
	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ფინანსური ხარჯი	76,512	(22,221)	54,291
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	(41,124)	22,221	(18,903)
	35,388	-	35,388

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

29. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 31 დეკემბრის 2024 წლის ბოლოსთვის დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 აგვისტოს

დირექტორი: ანდრეს რენგიფო

Andres Rengifo

Andres Rengifo (Aug 22, 2025 13:16:25 GMT+2)

შპს ჯი რიალთაიმ ლაივ

მმართველობითი ანგარიშგება - 2024

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის მიმოხილვა

შპს ჯი რიალთაიმ ლაივ (შემდგომში „კომპანია“) არის 2022 წლის 24 მაისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ.გურამიშვილის გამზ., N 84.

საიდენტიფიკაციო კოდია: 436051460.

მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

კომპანიის დირექტორია: ანდრეს რენგიფო.

კომპანიის 100% წილის მესაკუთრე არის მალტაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება MT RealTime Live Holdings, LTD, C100500 100.

შპს ჯი რიალთაიმ ლაივ-ის საქმიანობას წარმოადგენს ლაივ კაზინოს ტრანსლირება და სათამაშო სტუდიის მართვის სერვისის მიწოდება/მომსახურების ექსპორტი (რულეტის, ბლექჯეკის და სწრაფი ბლექჯეკის სტრიმინგის სერვისი).

2024 წლის განმავლობაში კომპანიის რეალიზაცია 100%-ით შედეგა მომსახურების ექსპორტისგან. მომსახურების ექსპორტი ხორციელდება მხოლოდ მალტის რესპუბლიკაში რეგისტრირებულ კომპანიაზე შპს MT RealTime Live LTD-ისთვის (მხარეებს შორის გაფორმებული სერვის კონტრაქტის საფუძველზე).

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2024 წლის განმავლობაში იყო 498-ი.

სტრატეგია, განვითარების გეგმა

კომპანია მუდმივად ცდილობს მსოფლიო ბაზარზე მოიძიოს ახალი დამკვეთები და არსებულ დამკვეთებთან განავითაროს თავისი თანამშრომლობა. ძირითადი აქტივი რასაც კომპანია ეყრდნობა არის მაღალკვალიფიციური და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით იაფი სამუშაო ძალა, რაც დამკვეთებს აძლევს საშუალებას რომ დაბალი ფასით სასურველი ხარისხის პროდუქტი მიიღონ.

გამომდინარე იქიდან რომ კომპანია ფლობს ლიცენზიას, საქართველოს „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კომპანია ცდილობს შესაბამისი სტანდარტების დაცვით, რომ მუდმივად გაზარდოს მის მიერ მიწოდებული სერვისის ხარისხი, რაც პირდაპირ იწვევს მეტი მაღალკვალიფიციური რეზიდენტი და არარეზიდენტი კადრების მოზიდვას კომპანიაში, ამისათვის კომპანია ქმნის თავისუფალ, ჯანსაღ სამუშაო

გარემოს, რაც ხელს უწყობს არსებული და ახალი კადრების პროფესიულ განვითარებას და მათ კარიერულ წინსვლას კომპანიაში.

ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად მცირდება მოთხოვნა ფიზიკურ პროფესიულ ძალაზე საბოლოო მომხმარებლებში, თუმცა კომპანიის პროფილი არის ცალკეული ბიზნეს პროექტების უნიკლური მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტების დამუშავება, რასაც ხელოვნური ინტელექტის არსებული და უახლოეს მომავალში დაგეგმილი მოდელები ვერ აკმაყოფილებენ, ამიტომ კომპანიის გრძელვადიან კომერციულ საქმიანობას საფრთხეს არ უქმნის.

გამომდინარე აქედან, კომპანიის უახლოეს განსაზღვრადი პერიოდის ბიზნეს სტრატეგიაა შეინარჩუნოს არსებული კლიენტები, რომელთა დაკავშირებითაც გაფორმებული არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მომსახურების ხელშეკრულებები. აგრეთვე კომპანიის მიზანია დაამყაროს ბიზნეს ურთიერთობები ახალ დამკვეთებთან. ახალი დამკვეთების მოძიებაში კი კომპანიას დაეხმარება ამავე თავში ზემოთ აღწერილი ფაქტორები.

კომპანიის შემოსავალი ფორმირდება **ხარჯები + ფორმულით**:

სერვისის ღირებულება = $C \times (1+M\%)$

სადაც C არის ყველა საოპერაციო და სხვა ხარჯის აგრეგაცია რომელიც ქმნის დამატებით ღირებულებას კომპანიის კლიენტებისთვის სერვისის მიწოდებისას.

M არის დანამატის პროცენტი რომელიც ემატება C ხარჯებს როგორც დამატებითი ღირებულების შექმნის განაკვეთი.

კომპანიის შემოსავლების სტრუქტურით და შემოსავლის ნაკადების გათვალისწინებით კომპანიის მენეჯმენტს აქვს ხედვა რომ გახდეს სწრაფი/მზარდი მოთამაშე კონკურენტულ ბაზარზე, გააგრძელოს მაღალკვალიფიციური კადრების დაქირავება, გაზარდოს მისაწოდებელი სერვისების რაოდენობა მომხმარებლებისათვის ასევე უზრუნველყოს უახლესი სერვისი და შექმნას დამატებითი ღირებულების პროდუქტები ოპერაციების სრულ მასშტაბში. კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია სამომავლო შესაძლებლობებში და ორიენტირებულია ქონდეს მუდმივი ზრდა ქართულ ბაზარზე.

მიღწევები

2023 წელს ივნისის თვეში კომპანიამ გააკეთა შესაბამისი განაცხადი და ამავე თვეში მან მიიღო საქმიანობის ლიცენზია, საქართველოს „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“, 5 წლის ვადით.

ლიცენზიის მიღების შემდგომ კომპანიამ, იმისათვის რომ მომხდარიყო საქმიანობის, შესაბამისად სტრიმინგის დაწყება, კომპანიამ გაწია კაპიტალური დანახარჯები რომელიც

მოიცავდა საქმიანობის შესაბამისი დანადგარების შეძენას. 2023 წლის 3 კვარტალში კი უშუალოდ მოხდა საქართველოს სტუდიოს საქმიანობის დაწყება, რამაც გამოიწვია კომპანიის თანამშრომლების რაოდენობის ზრდა, თუ თანამშრომელთა რაოდენობა 2023 წლის დასაწყისისთვის 23 იყო, მათმა რაოდენობამ 2023 წლის ბოლოსთვის 412 შეადგინა.

საქმიანობის დაწყებასთან ერთად 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ იქირავა ახალი ოფისი, ასევე მიღებული იქნება კაპიტალური დანახარჯის გაწევა აღნიშნული ოფისის კეთილმოსაწყობად.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა და რისკების მენეჯმენტი

მთავარი ფინანსური ინდიკატორები:

ლარი	2024
ამონაგები	22,762,543
წმინდა მოგება	251,471

კომპანია მომსახურების მიწოდებას/ ექსპორტს ახდენს მხოლოდ ევროს ვალუტაში:

EUR – 7,716,713 (2024 წლის შემოსავლის თანხა).

კომპანიის უძრავი ქონების მოვლის ხარჯები 2024 წლისთვის ლარში:

	2024
კომუნალური ხარჯები	377,798
საოფისე საქონელი	652,995
ოფისის მომსახურება	490,972
უსაფრთხოების ხარჯები	148,694
სხვა ხარჯები	49,249
სულ უძრავი ქონების მოვლის ხარჯი	1,719,708

რისკების მართვა

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფინანსური ხარჯი, რომელიც წარმოიშვება როდესაც მყიდველი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადლებულებებს და დავალიანება ყალიბდება საექვო მოთხოვნად. ფინანსური აქტივების არსებული მთლიანი ნაშთი არის მაქსიმალური შესაძლო საკრედიტო რისკი. შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრისათვის საკრედიტო რისკი არის შემდეგი:

როგორც ზემოთ აღნიშნულია კომპანია მომსახურების მიწოდებას/ ექსპორტს ახორციელებს მხოლოდ მალტაში რეგისტრირებულ კომპანიაზე, ასევე იგივე კომპანია გასცემს სესხებს ქართულ კომპანიაზე, რომელიც გამიზნულია კომპანიის საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

2024 წლის ბოლოს ქართულ კომპანიას უფიქსირდება მოთხოვნა მალტის კომპანიის მიმართ, რომელიც შეადგენს 4,555,114 ლარს, ამასთანავე ამავე პერიოდში კომპანიას მიღებული აქვს 17,170,104 ლარის ოდენობის სესხი, 2025 წლის პერიოდისთვის იგეგმება მოთხოვნის და ვალდებულების ურთიერთჩათვლა.

ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე შეგვიძლია მივიჩნიოთ რომ კომპანია წარმატებით ახერხებს პარტნიორთან თანამშრომლობას, და გაწეული მომსახურების სანაცვლო ანაზრაურებას ყოველთვის გონივრულ ვადაში იღებს.

კომპანია 2024 წლის განმავლობაში არ იყენებდა საკრედიტო რისკის დაზღვევის სხვა ფინანსურ ინტრუმენტს.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობა განსაზღვრავს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას მიმდინარე ფინანსური აქტივებით.

კომპანიის ყოველთვიური ხარჯების დაახლოებით 59%-ს შეადგენს გადასახდელი ხელფასები. რისკის თავიდან აცილების მიზნით, მენეჯმენტს შემუშავებული აქვს პოლიტიკა რომ ფულადი სახით კომპანიის საბანკო ანგარიშზე ყოველთვის იყოს განთავსებული შესაბამისი ოდენობის თანხა, რომელიც ქართულ კომპანიას ყოველთვიურად სესხის სახით ევროს ვალუტაში ერიცხება.

31.12.2024 მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე კომპანიას ჰქონდა დაგროვილი ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში:

ევროში - 1,539,917.76 (ექვივალენტი ლარში);

დოლარში - 262.80 (ექვივალენტი ლარში);

ბრიტანული გირვანქაში- 265.29 (ექვივალენტი ლარში).

თავის განკარგულებაში არებული თავისუფალი ფულადი სახსრები კომპანიის საკრედიტო რისკს 100%-ით აზღვევს.

სავალუტო რისკი - რადგანაც კომპანია შემოსავალს იღებს უხროურ ვალუტაში, ევროს ექვივალენტში, შესაბამისად ძირითადი ხარჯები/შემცენები ხელშეკრულებით განსაზღვრულია (იჯარა, მსხვილი შესყიდვები) ხელშეკრულებებით აქვს ასევე შეთანხმებული უცხოურ ვალუტაში ევროში და დოლარში. ეს მიდგომა მეტწილად ამცირებს კომპანიის სავალუტო რისკს.

საბანკო ანგარიშზე კომპანიის ძირითადი სახსრები ინახება უცხოურ ვალუტაში.

ამის გათვალისწინებით ლარის კურსის ცვალებადობა აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში პირდაპირ პროპორციულად ზემოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგზე. 2024 წელს ლარმა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა მდგრადი კურსი, კომპანიის ფინანსური მონაცემების მიხედვით კურსთაშორისმა ზარალმა შეადგინა 96,864 ლარი. ამასთანავე კონვერტაციის ოპერაციებიდან მიღებული ზარალი შეადგენს 151,000 ლარს, მთლიანი ამონაგების 0.7%. -ია.

საბაზრო რისკები - აღნიშნული რისკები ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად იზრდება.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, არაფინანსური ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან;

კომპანიის 2024 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

$$\begin{array}{l} \text{ლიკვიდურობის კოეფ.} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{7,786,765}{25,104,628} = 0.31 \end{array}$$

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობა} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{7,307,870}{25,104,628} = 0.29$$

$$\text{მოგება საკუთარ კაპიტალ} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{251,471}{(2,243,022)} = 0.11$$

კომპანიის 2023 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

$$\text{ლიკვიდურობის კოეფ.} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{16,219,055}{32,872,246} = 0.49$$

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობა} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{16,141,545}{32,872,246} = 0.49$$

$$\text{მოგება საკუთარ კაპიტალ} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{(568,068)}{(2,494,493)} = 0.23$$

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას, რომ მომავალში კომპანია შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, კომპანიას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას.

საკადრო პოლიტიკა

კომპანია ზრუნავს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და კომფორტულ სამუშაო გარემოზე. კომპანია ცდილობს დაიცვას შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უსაფრთხოების ნორმა. თანამშრომელთა სამუშაო ადგილი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში მუშაობდა 779 თანამშრომელი. კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით და ასევე მათ სთავაზობს დამატებითი წამახალისებელ ბენეფიტებს.

უსაფრთხოება

მენეჯმენტი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომლების და ვიზიტორების უსაფრთხოებას ოფისში. კომპანიას ოფისში გათვალისწინებულია და დაცულია უსაფრთხოების ყველა ნორმა, რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობას და თანამედროვე სტანდარტებს.

ანტი-კორუფციული პოლიტიკა

კომპანია იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოველად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება კომპანიის ბიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ კომპანიაში ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.

შპს ჯი რიალთაიმ ლაივ-ის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია 2025 წლის 19 აგვისტოს და ადასტურებენ:

სახელი: ანდრეს რენგიფო

სახელი: არტურ რიპარდი

პოზიცია: დირექტორი

პოზიცია: ფინანსური დირექტორი

Andres Rengifo

Andres Rengifo (Aug 22, 2025 13:16:25 GMT+2)

Andres Rengifo

Andres Rengifo (Aug 22, 2025 13:16:25 GMT+2)

GE Real Time Live LLC_FS 2024Y_GEO

Final Audit Report

2025-08-22

Created:	2025-08-22
By:	Ryan Finch (ryan.finch@proxylivesolutions.com)
Status:	Signed
Transaction ID:	CBJCHBCAABAAQSmZbpiWGXvyhLzAvi7JuwaTKX7zG1VI

"GE Real Time Live LLC_FS 2024Y_GEO" History

-  Document created by Ryan Finch (ryan.finch@proxylivesolutions.com)
2025-08-22 - 9:48:56 AM GMT
-  Document emailed to Andres Rengifo (andres@proxylivesolutions.com) for signature
2025-08-22 - 9:49:06 AM GMT
-  Email viewed by Andres Rengifo (andres@proxylivesolutions.com)
2025-08-22 - 11:15:37 AM GMT
-  Document e-signed by Andres Rengifo (andres@proxylivesolutions.com)
Signature Date: 2025-08-22 - 11:16:25 AM GMT - Time Source: server
-  Agreement completed.
2025-08-22 - 11:16:25 AM GMT